სამშობლო დიდის შუქით, არ გაიცვლებინ სხვაზედა...“

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
13
ივნისი
N 70 (10463)
ფასი 5 კაპ

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგიონის აღორძინებისათვის ძალა არ დავიშუროთ

ის, რაც ერთპარტიულმა კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს, მის მოსახლეობას ვნება მოუტანა, ყველასათვის ცნობილია. მაგრამ ეს ტკივილი, ეს სევდა დღემდე ამოუთქმელია. იგი ყოველი ქართველის გულში ბატარა მხეცივით ზის და სულს უღრღნის. თითქოს და კარგად გავითავისეთ, შევიმეცნეთ მტრის მიერ დაგებულ მახეში მოფართხალე ქვეყანას რა უბედურებაც ჭირდა, მაგრამ ხვალინდელი დღისკენ სავალი გზის ავან-ჩავანში, ბოლომდე ვართ გარკვეული? ერის საუკეთესო შვილების წყალობით სამომავლო გეზი კია ცნობილი, მაგრამ ჯერ კიდევ მისაგნებ-დასადგენია ის ყალიბი, ფორმა, რომლითაც ხალხის სამომავლო ნებისყოფა და ენერგია სწორად და გონივრულად უნდა დამისამართდეს, უმწვავესი სოციალური საკითხების მოგვარება უნდა მოხერხდეს.

ჩვენი ხვალინდელი წარმატება მნიშვნელოვანწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ზუსტად გაცნობიერდება საერთო მიზანი. ამის კვალობაზე უნდა განისაზღვროს მოძრაობის ორიენტირი სანიშნოები. ყველამ უნდა გაისიგრძეგანოს ის ჭეშმარიტება რომ მეტად ძნელი, მომქანცველი გზით სიარული, საკუთარი, ეროვნული ეკონომიკის ფეხზე წამოყენება და განმტკიცება მოგვიწევს. მოკლე დროში უნდა ამოქმედდეს ისეთი საწარმოო სტრუქტურები, სადაც ვითარების სრული ბატონ-პატრონი იქნება თვით მწარმოებელი, მესაკუთრე. ზოგიერთი სპეციფიკური სფეროების გარდა, სასოფლო თუ სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი პრივატიზაციის ნაცად წესებს უნდა დაექვემდებაროს. მაგრამ ეს ცხოველმყოფელი პროცესი მრუდე გზით წავა, ჩიხში მოექცევა, თუ სინდის-ნამუსის ტრადიციულ კალაპოტს აცდა. ყოველმა ჩვენგანმა, ვინც შინაგანი პოტენციის კარნახით საწალმართო საქმის საქეთებლად აენთება, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული, მამა-პაპათა ნაანდერძევი ზნეობის დაცვა და შენარჩუნებაც უნდა შეძლოს.

რა უნდა დაედოს ქვაკუთხედად იმ გამძლე შენობას, რომლის აგებას ხვალ და ზეგ ვაპირებთ? ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონე. იმ საერთო ინტერესების ღრმად გაცნობიერება, რომელთა ხორცშესხმით საქართველოს სულიერი და ეკონომიკური აღორძინება უნდა მოხერხდეს. ეს ნიშნავს მაქსიმალურად დავიცხროთ ეგოისტური ვნებები, არ დავემონოთ პირადი გამდიდრების მანიას, ერთმანეთს შევახამოთ საკუთარი და საეროვნო საზრუნავი. გავიხსენოთ, როგორ გვმოძღვრავს დიდი ილია: „ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა... სადაც „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“.

ყველანი ვართ შინაგანად შეძრულნი იმ ზღვარდაუდები მზაკვრობით, რასაც ცენტრი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვთავაზობს. ფაქტიურად იმპერიასთან ომში ვართ ჩაბმული. იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. ...ლახება ეროვნული თვითმოყვარეობა. მაგრამ ასეთ უმძიმეს ვითარებაშიც ჩვენს საქმეებს უნდა მივხედოთ. რეგიონის წინაშე ურთულესი პრობლემები დგას. მათი თანდათან გადაწყვეტისათვის საყოველთაო ძალისხმევისას ყოველმა ზუგდიდელმა თავისი ადგილი და ფუნქცია უნდა იპოვნოს. მკაცრმა სინამდვილემ არ უნდა დათრგუნოს ჩვენი სწრაფვა უკეთესი მერმისისაკენ.

ეს დღეები სოფლად

## ილევწიან პროდუქციის სიუხვისათვის

ინგირის კოლმეურნეობის შრომელები შრომის ახალი ფორმით—იჯარული წესით ილევწიან პროდუქტების სიუხვისათვის.

მეჩაიეებმა წელს 2800 ტონის დამზადება ივარაუდეს. დღეისათვის მოკრეფილია 500 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ყოველდღიურად იკრიფება 30-35 ტონა ჩაის ფოთოლი. შეიძლება დამზადდეს მეტიც, მაგრამ ფაბრიკების წარმადობა ვერ აუდის მოზღვავებული ნედლეულის მიღება—გადამუშავებას.

გამართულად მუშაობს 18 მობილური მანქანა. ასევე ხელით მკრეფავთა 9 ბრიგადა ამზადებს ნედლეულს. მობილური მანქანებით მოიკრიფება 1100 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ინგირელებმა რაიონში პირველებმა ორმაგად შეასრულეს სენაჟის დამზადების სავარაუდო გეგმა. დამზადებულია 200 ტონა სენაჟი.

სადღეისოდ 8 ჰექტარზე ნათეს მრავალწლიანი ბალახიდან მიღებული მწვანე მასა ეძლევა პირუტყვს.

35 ჰექტარზე დათესილი აქვთ სასილოსე სიმინდი.

ნ. ხუხუა.

## უნდა დავაჩქაროთ

ოდიშის კოლმეურნეობის მწვანე მინდვრის ოსტატებს 10 ივნისისათვის დამზადებული აქვთ 259 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

საკრეფად ყოველდღიურად გადის ხელით მკრეფავთა რვა და ერთი მობილური მანქანა.

ოდიშელებს ნავარაუდევი აქვთ 132 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიდან წელს მიიღონ და მრეწველობას ჩააბარონ 1400 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

დასასრულს უახლოვდება პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა და იგი ერთ კვირაში დამთავრდება. დრო არ ითმენს. უნდა დავაჩქაროთ ჩაის კრეფა.

## მატულობს ტემპი

იმისათვის, რომ არ დაუშვან დანაკარგები და სწრაფად გადაიღონ პირველი ვეგეტაციის ჩაი, ონარიის მეურნეობაში ყოველ დილით საკრეფად გადის 12 მობილური მანქანა „საქართველო“.

ოცივე ბრიგადაში მზადდება არისხიანი ნედლეული. [illegible]

მწყობრშია ონარიის მიკროჩაის ფაბრიკა. ყოველდღიურად მრეწველობას ბარდება 20-25 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

გ. ბოხუა.

რამაც დრო მოჭამა, უარვყოთ:

## ნამდვილად არ გვეკადრება

კარგია, რომ ამ ბოლო ხანებში ადგილობრივმა გაზეთმა „ოდიშმა“ ისევ წამოსწია გადაჭარბებული ქორწილებისა და ქელეხების თემა. ეს ის მტკივნეული საკითხია, რომლის მოგვარებას ჩვენი დაუდევრობის გამო არა და არ დაადგა საშველი. მე ვეკუთვნი ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელიც ვერაფრით ვერ იგუება მამა-პაპათა უმწიკვლო ზნეობით საუკუნეებში შეუბღალავად გამოტარებული ეროვნული ადათ წესების გამყალბებლებს. ავტორიტარულმა რეჟიმმა არც ეს სფერო დაინდო. თვით გაყალბებული დრო, ტრადიციული ფასეულობებისაგან დაცლილი რეალობა ქმნიდა იმის ნიადაგს, რომ ხალხურ წეს-ჩვეულებებს ფორმა და შინაარსი დამახინჯებოდა.

კრიტიკის ხაგნად რჩება ალნიშნული მოვლენის ორი ასპექტი: მოუთმენელია ის, რომ სასოფლო პროდუქტების ასეთი დეფიციტის პირობებში ანგარიშმიუცემლად ვზრდით ქორწილისა, თუ ჭირის სუფრის მასშტაბებს. ხოლო არანაკლებ დასაფიქრებელია თვით ჩვენი დამოკიდებულება ასეთი ფაქტებისადმი.

მავნე ტრადიციების ტყვეობაში ყოფნა არ გვეკადრება დღეს მაინც, როცა ქართველი ხალხი თავისუფლებას, ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებას მიელტვის. ასეთი საკითხების მიმართ ისევ გულგრილი თუ დავრჩით, უნაყოფო იქნება ჩვენი ძალისხმევა. ჩვენ ყველანი ერთად 90-იანი წლების ზუგდიდს განვასახიერებთ და სრულებით არა აქვს სასხვათაშორისო მნიშვნელობა იმას, თუ როგორ წარვსდგებით მომავალი თაობის წინაშე.

მაშ მოდით, ჩემო თანამემამულენო, სრული შეგნებით მივუდგეთ და გადავწყვიტოთ ეს პრობლემა. არ არის აუცილებელი ვინმეს დასჯა, მუქარა და ლანძღვა-გინება. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაიცნობიეროს, რომ ქორწილისა და ქელეხის გაზვიადებული ფორმით ჩატარება ეთიკურად გამართლებელი და შემაწუხებელია კაცისთვის.

ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას თვით განახლების გზაზე დამდგარი სამშობლო ითხოვს.

უ. ლატარია,
ჩვენი კორ.

## სადა ფორმა შეშვენის

...ში არ მეგულება სოფელი ან შრომითი კოლექტივი, რომლის თავკაცებს ეყოფათ გამბედაობა ადგნენ და კატეგორიული ტონით განაცხადონ: ეს საკითხი ჩვენთან საბოლოოდ გადაწყვეტილია. ანალოგიურ უხერხულობას ალბათ ვერც ქუჩის კომიტეტები აიცდენენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ცუდად ვმუშაობთ ადამიანებთან, არ ვუწევთ მათ სათანადო ახსნა განმარტებას. მხედველობაში გვაქვს არა უწინდელი, ზემდგომი ორგანოებიდან სანქცირებული პოლიტმასობრივი ღონისძიებები და ერთდროული კამპანიები, არამედ უშუალო, გულწრფელი, ადამიანური ზემოქმედება მოყვასის შეგნებისადმი, შეგობრული რჩევა და ა. შ.

შეიძლება მავანს გადაჭარბებულ სიმკაცრედ მოეჩვენოს, მაგრამ მაინც ვიტყოდი: ზოგიერთი ქელეხი და ქორწილი ისეთ ფუფუნებას იღებს, რომ უდიდესი ესპანელი მხატვარი, ცნობილი „კაპრიჩიოს“ ავტორი გოია, ცოცხალი რომ იყოს, თავის ტილოზე უკვდავყოფდა.

ჩემი სურვილი ასეთია: ალვუდგინოთ ეროვნულ ადათ-წესებს პირვანდელი უბრალოება და სისადავე.

სერგო ხუბუტია,
ბავშვთა სამხატვრო სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოების საკრებულოში არჩეული დეპუტატები ზუგდიდის რაიონში

გაგრძელება

## ორსანტია

13. ჩხოლარია ბრიჩლი—1946 წ. აგრონომი, ორსანტიის სანერგე მეურნეობის დირექტორის მოადგილე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

14. ლატარია ციალა—1940 წ. კოოპერატივ „თუთარჩელას" თავმჯდომარე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

15. ჩხოლარია კოტე—1959 წ. ბუღალტერი, ორსანტიის სანერგე მეურნეობის საგეგმო განყოფილების ბუღალტერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

16. გოგინავა დავითი—1928 წ. გეოლოგი, კოლხეთის გეოლოგიური საძიებო ექსპედიციის უფროსი გეოლოგი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო".

17. ხაზალია კოტე—1956 წ. მძღოლი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

18. ჩიქვატია ოთარი—1955 წ. ბუღალტერი, ორსანტიის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, უპარტიო, დამოუკიდებელი.

19. ქვარაია ნანა—1965 წ. ინჟინერ-მშენებელი, ორსანტიის საშუალო სკოლის პედაგოგი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

20. ქვარაია ვალერი—1963 წ. დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

21. ჯიქია გენო—1960 წ. მუშა, ზუგდიდის დამხმარე სამშენ მასალათა კომბინატი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

22. კიკავა ზურაბი—1960 წ. დროებით უმუშევარი, უპარტიო წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

## ახალკახათი

1. უბილავა ნოდარი—1938 წ. აგრონომი, ახალკახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, დამოუკიდებელი.

2. აბსანძე დინარა—1950 წ. ბუღალტერი, ახალკახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ბუღალტერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

3. აბსანძე მანონი—1962 წ.—ახალკახათის კოლმეურნეობის მდივან-მემანქანე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

4. ოყუჯავა ანზორი—1951 წ. ახალკახათის კოლმეურნეობის მძღოლი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

5. აბსანძე მიშიკო—1939 წ. აგრონომი, ზუგდიდის სარემონტო მექანიკური კომბინატის ყანგბადის ქარხნის აგრონომი, უპარტიო, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

6. ჩიქავა რეზო—1948 წ. ახალკახათის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

7. თორია ვახტანგი—1953 წ. ახალკახათის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

8. ფიფია სოსო—1961 წ. ახალკახათის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

9. თორია ივლიანე—1929 წ. აგრონომი, ახალკახათის კოლმეურნეობის ბრიგადირი უპარტიო, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

10. სურმავა გოდერძი—1966 წ. ახალკახათის საშუალო სკოლის ფიზკულტურის ინსტრუქტორი, უპარტიო, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

11. ზელია რევაზი—1957 წ. ბუღალტერი, ახალკახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

12. ნანეიშვილი ზურაბი—1957 წ. მშენებელ-ინჟინერი, ახალკახათის კოლმეურნეობის კოოპერატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

13. თუზბაია დემური—1949 წ. ისტორიკოსი, ახალკახათის საშუალო სკოლის პედაგოგი, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

14. ქარდავა გენო—1938 წ. ეკონომისტი, ახალკახათის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

15. კვარაცხელია დავითი—1928 წ. ისტორიკოსი, № 108 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

16. ზარქუა დუსია—1949 წ. პედაგოგი, ახალკახათის საბავშვო ბაღის გამგე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

17. შენგელია თენგიზი—1958 წ. აგრონომი, ახალკახათის კოლმეურნეობის ბრიგადირი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

18. სურმავა ბატონიკო—1964 წ. ეკონომისტი, ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის უფროსი ეკონომისტი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

19. ჯალაღონია ლუარა—1944 წ. ფილოლოგი, ახალკახათის საშუალო სკოლის პედაგოგი, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

## ჯიხაშკარი

1. ებრალიძე პაატა—1961 წ. ინჟინერ-მექანიკოსი, დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

2. ჯალაღონია დათო—1951 წ. ექიმი, ჯიხაშკარის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

3. ზელია ახმედი—1956 წ. აგრონომი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის არენდატორი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

4. ყურუა ჯამბული—1958 წ. ჯიხაშკარის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

5. გასილაია თავიდა—1959 წ. მედდა, ჯიხაშკარის საავადმყოფოს მედდა, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

6. ებრალიძე გუჯუჯი—1932 წ. საქონელმცოდნე, ზუგდიდის მუსიკალურ ქორეოგრაფიული საზოგადოების საქონელმცოდნე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

7. ალანია გერონტი—19[illegible] წ. აგრონომი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქ. დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

8. გენდელიანი გენადი—1954 წ. ავტოინჟინერი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო -რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

9. შენგელია ფრიდონი—1952 წ. მშენებელ—ინჟინერი ჯიხაშკარის № 1 საშუალო სკოლის პედაგოგი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

10. ფიფია შოთმანი—1959 წ. ბუღალტერი, ჯიხაშკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო -რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

11. კვარაცხელია ჯონსონი—1935 წ. ინჟინერი, პენსიონერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

12. მარღია მეგონა—1948 წ. აგრონომი, დროებით უმუშევარი, უპარტიო, დამოუკიდებელი.

13. ბაბეჩავა რევაზი—1956 წ. ეკონომისტი, ჯიხაშკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, დამოუკიდებელი.

14. ჩარგაზია ავთანდილი, 1956 წ.—ინჟინერ-მექანიკოსი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

15. გენდელიანი ეთერი—1951 წ. აგრონომი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის არენდატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა"—თავისუფალი საქართველო".

16. მკადუა ელისო—1960 წ. ეკონომისტი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის არენდატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

17. სეხნიაშვილი ნუნუ—1949 წ. ბიოლოგი, ჯიხაშკარის № 2 საშუალო სკოლის პედაგოგი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

18. ზარანდია გვანჯი—1926 წ. პენსიონერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

19. ზარანდია გელა—1961 წ. აგრონომ-ინჟინერი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური, პარტიის ზუგდიდის საქალაქო რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

20. ზარანდია ვახტანგი—1957 წ. მშენებელ-ინჟინერი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

21. ზარანდია იური—1962 წ. ეკონომისტ-ბუღალტერი, ჯიხაშკარის კოლმეურნეობის ბუღალტერი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის ზუგდიდის საქალაქო რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

22. მიქავა ნანა—1966 წ. ფილოლოგი, ჯიხაშკარის № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

## ოქტომბერი

1. ცოფურია გიგლა—1960 წ. ოქტომბრის საშუალო სკოლის დირექტორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

2. კვარაცხელია გურამი—1958 წ. აგრონომი, ოქტომბრის კოლმეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

3. ზაქარაია მზია—1946 წ. ოქტომბრის სასოფლო კლუბის გამგე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

4. ზაქარაია ალიოშა—1962 წ. ინჟინერი, ოქტომბრის კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

5. ქირია გონდო, 1931 წ.—აგრონომი, ოქტომბრის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

6. ფარცვანია ფრიდონი—1955 წ. ოქტომბრის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

7. სვირავა კარლო—1937 წ. აგრონომი, ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო -რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

8. შამუგია ზურაბი—1950 წ. ეკონომისტი, კოოპერატივ „მეკავშირეს" ბუღალტერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

9. უბილავა გურამი—1940 წ. აგრონომი, ოქტომბრის კოლმეურნეობის აგრონომ-არენდატორი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

10. ქირია ზურაბი—1958 წ. ინჟინერი, საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდმრეწვის" ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

11. ქალდანი ელეონორა—1955 წ. ოქტომბრის კოლმეურნეობის მდივან-მემანქანე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

12. კოდუა ლუარა —1951 წ. ბუღალტერი, ოქტომბრის სასოფლო საბჭოს მდივანი, უპარტიო წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

13. მაქაცარია გივი—1940 წ. აგრონომი, ოქტომბრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონული პარტიის ორგანიზაციამ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოდიში" № 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თათბირი პრეფექტურაში

ვერა და ვერ დამყარდა ჯეროვანი წესრიგი ჩვენს გზებსა და ავტომაგისტრალებზე. პირიქით, მიუხედავად სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა დიდი მცდელობისა, უხეშ დარღვევათა რიცხვი დღითიდღე მატულობს, რაც საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. სიმთვრალის, გადაჭარბებული სიჩქარის, მოძრაობის წესების უგულებელყოფის, არასრულწლოვანებისათვის ავტომანქანის სამართავად გადაცემისა და სხვა დანაშაულებრივ ფაქტებთან ერთად უწესრიგობის წისქვილზე წყალს გარკვეულწილად ასხამენ სატრანსპორტო ორგანიზაციები და ცალკეული საწარმოებიც. კერძოდ, როგორც შემოწმებით ირკვევა, ზუგდიდის მეტწილ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მათზე რიცხული ავტომანქანების გარკვეული რაოდენობა ღამის საათებში არ დგას განკუთვნილ ფარეხებში, არავინ იცის სად დაქროლებს, რა „კეთილი" მიზნისთვის იყენებს მძღოლი მათ. ხშირია მორიგე-მექანიკოსების მიერ ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების ხაზზე გაშვების შემთხვევები, რაც შესაძლებელია საგზაო უბედურებათა წინაპირობად მივიჩნიოთ.

ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე ფართო მსჯელობა იყო პრეფექტურაში გამართულ თათბირზე, სადაც მოწვეულნი იყვნენ შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების, სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და სხვა სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკები. შექმნილი მძიმე ვითარების, გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სასწრაფოდ მისაღებ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციით და სიტყვებით გამოვიდნენ ბატონები. შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი ფ. კიფიაია, ავტოკოლონა 2678-ის უფროსი მ. ჯაბუა, №12 ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი ჯ. კვიკვინია, ავტოკოლონა 2668-ის მთავარი ინჟინერი თ. დადვანი, „საქსოფლქიმიის" რაიგაერთიანების უფროსის მოადგილე ჯ. წულაია, სატვირთო ავტოსაწარმოს დირექტორი გ. ემხვარი, ქალაქის განათების სამსახურის უფროსი თ. თორდია, შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე რ. ბერიშვილი და სხვები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ზუგდიდის პრეფექტის მოადგილემ ბატონმა პ. ჩუხუამ.

„ოდიშის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# არც ერთი ფაქტი — რეაგირების გარეშე!

გაზეთ „ოდიშის" 28 მაისის ნომერში გამოქვეყნდა „მრუვალი მავიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების, შინაგან საქმეთა განყოფილების და საკოლმეურნეო ბაზრის მუშაკთა ერთობლივი რეიდის მასალები, სადაც, ვაჭრობის სხვა ორგანიზაციებთან ერთად სავაჭრო წესების უხეშ დარღვევაში მხილებული იყო რაიკოოპკავშირის დაქვემდებარებული ობიექტები.

პასუხად რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ქირია გვატყობინებს:

გამოვლენილი ფაქტები მიგვანიშნებს რაიკოოპკავშირზე დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ თავიანთი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაზე, სავაჭრო ობიექტების მუშაობის ყოველდღიური კონტროლის გაუწევლობაზე, საერთო განუკითხაობაზე. ამიტომ ნარაზენის მომხმარებელთა საზოგადოების თავმჯდომარის შ. წოწერიას და „საქსოფლკოოპდამზადება" მრეწ ვაჭრობის უფროსს მ. გვილიას გამოეცხადათ საყვედური. მათვე დაევალათ ორი დღის ვადაში გადაწყვიტონ მაღაზიის გამყიდველების ს. მკადუასა და მ. თამლიანის სამუშაოზე დატოვების მიზანშეწონილობა.

რაიკოოპკავშირის საიჯარო მაღაზია „ინგურის" დირექტორს ა. ანთიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური. გამყიდველ მ. გულორდავას სამუშაოდან დათხოვნის დასტური არ მოგვცა პროფკავშირმა. მისი ცუდი ოჯახური პირობების გამო, ამიტომ მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური და პირობით იქნა დატოვებული სამუშაოზე. ხსენებული პირები გაფრთხილებულ იქნა, თუ შემდეგში არ გარდაქმნიან მუშაობას და კეთილსინდისიერად არ იშრომებენ, დათხოვნილ იქნებიან.

მუშაობის დროის მოთხოვნისამებრ გარდაქმნა და ამისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება დაევალათ ასევე რაიკოოპკავშირზე დაქვემდებარებულ სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს: ინგირის, დარჩელის, ყულიშკარის მომხმარებელთა საზოგადოებების გამგეობათა თავმჯდომარეებს: შ. თორდიას, ნ. ხარგელიას, ს. კაკულიას, საზკვების გაერთიანების დირექტორს მ. შეროზიას, არენდირებული „რაიკოოპვაჭრობის" დირექტორს თ. გაბედავას. მათვე მიეცათ მითითება, რომ ვაჭრობის წესების დარღვევის არცერთი ფაქტი არ დატოვონ რეაგირების გარეშე და ამის შესახებ გვაცნობონ უახლოეს პერიოდში.

დემოგრაფია — ჩვენი საზრუნავი

# იქნებ გამოგვიჩნდნენ გულშემატკივრები...

(ინტერვიუ)

საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი ბედნიერება, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოუდგენელია, თუ საქართველოში არ გატარდება დემოგრაფიული პოლიტიკა. წლითიწლობით იკლებს ჩვენში შობადობა და ბუნებრივი მატება. თუ 1960 წელს შობადობის რესპუბლიკური მაჩვენებელი იყო 24, 1990 წელს მან 17,8 შეადგინა. კლებულობს ბუნებრივი ნამატის კოეფიციენტიც, რაც იმავე წლებში შესაბამისად ასე გამოიხატა: 18,2 და 8,8.

რაც შეეხება ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობას, ის მცირდება. თუ 1960 წელს საქართველოში ყოველ ათას ცოცხალ დაბადებულზე სიკვდილიანობა იყო 86,8, 1990 წელს მან 15,8 შეადგინა.

—ქალაქ ზუგდიდში თითქმის ორი ათეული წელია, რაც მკვეთრად შემცირდა 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. (ეს ასაკი ყველაზე საფრთხილოა, ამ ასაკში ადვილად ავადდება ბავშვი სეფსისით და პნევმონიით). 1990 წელს მან შეადგინა 10,7. რაც შეეხება შობადობის მაჩვენებლის მატებას, სამწუხაროდ იგი ჩვენს ქალაქში არ აღინიშნება. მეტიც, 1987 წელთან შეფარდებით 1988-89-90 წლებში 50 ბავშვით ნაკლები დაიბადა,— აღნიშნა ჩვენთან საუბარში, ქ. ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა ზაურ შეროზიამ.

კიდევ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მას:

—ბატონო ზაურ, რა აფერხებს ჩვენში შობადობას, ბუნებრივ მატებას?

—ქალაქ ზუგდიდში და მთლიანად საქართველოში შობადობის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია სოციალური პირობები და ხელოვნური აბორტების უსისტემო კეთება.

—დღეს პრაქტიკულად რა კეთდება ბავშვთა პოლიკლინიკაში ახალდაბადებულთა სიცოცხლის გადასარჩენად?

—ბავშვის მუცლადყოფნის პერიოდშივე ხდება ფეხმძიმე ქალის აღრიცხვაზე აყვანა უბნის ექიმ-პედიატრის და მედდის მიერ. მათ უტარდებათ სათანადო კონსულტაციები. ჩვილ ბავშვს დაბადების მე-7 დღეს ნახულობს უბნის ექიმპედიატრი და აჰყავს განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ 1 წლამდე ასაკის შესრულებამდე. პოლიკლინიკა მჭიდრო კავშირშია ქალთა კონსულტაციის, ჩვილ ბავშვთა განყოფილებებთან. ქალთა კონსულტაციის განყოფილებას სისტემატურად ეგზავნება სამოქმედო უბანში ფეხმძიმე ქალთა სახელობითი სიები. ძალიან ხელისშემშლელია ის, რომ ქალაქში არ არის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო, რენტგენის კაბინეტი არა გვაქვს, რადგან პოლიკლინიკა არატიპიურ შენობაში საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულზეა მოთავსებული.

—ამჟამად საქართველოში განსაკუთრებით მაღალია ინვალიდ ბავშვთა რიცხობრივი მაჩვენებელი, რომელიც უდრის 5874-ს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქალაქში?

—ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკას დღესდღეობით აღრიცხვაზე ჰყავს 88 ინვალიდი ბავშვი. ბავშვთა ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს მომავალი დედის შრომის პირობები, ხშირია ორსულ ქალთა დასაქმება სოფლის მეურნეობაში მძიმე გავლენას ახდენს ასევე პესტიციდების უსისტემო გამოყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანისას. ასევე არანაკლებ მავნედ მოქმედებს მინერალური სასუქების ჭარბი ხმარების შედეგიც.

—იმპორტული და სამამულო სამკურნალო საშუალებების მწვავე დეფიციტის პირობებში როგორ გესახებათ გამოსავალი ამ რთული მდგომარეობიდან?

—ძალიან გვიჭირს, იქნებ დაინტერესდნენ მდიდარი საწარმოები, პიროვნებები ზუგდიდელ ბავშვთა ჯანმრთელობის სხვა გულშემატკივრები და მათი სახით გამოგვიჩნდნენ სპონსორები, რომლებიც ვალუტაზე შეუძენენ საქართველოს ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს იმპორტულ აპარატებსა და პრეპარატებს.

ეს იქნებოდა მათი მხრიდან დიდი მამულიშვილური და პატრიოტული დამოკიდებულება ჩვენი მომავალი თაობის და საერთოდ საქართველოს ბედ-იღბლისადმი.

ესაუბრა თამაზ როგავა

მყარდება კონტაქტები

# იაპონია — ზუგდიდი

ამასწინათ, „საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი ვახტანგ ნინავა და მშენებარე სანჰიგიენის ქაღალდის საწარმოს დირექტორი რადიონ ოყუჯავა გაემგზავრნენ იაპონიის ქალაქებში: ტოკიო-საპოროფუჯინამიაში, რათა გაცნობოდნენ სანიტარულ-ჰიგიენური ქაღალდის გადამამუშავებელი დანადგარ-მოწყობილობების ტექნოლოგიას, ტექნიკურ დოკუმენტაციას. აღნიშნულ-დანადგარმოწყობილობათა ანალოგიურის შესასყიდი თანხა გადარიცხულია.

კითხვაზე: ფუჯინამიის სანიტარულ-ჰიგიენური ქაღალდის ფაბრიკაში რამდენი კაცია დასაქმებული, როგორია დანადგარმოწყობილობათა მუშაობის ხანგრძლივობა, რა დამოკიდებულებაა საწარმოს ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს შორის, როგორი შთაბეჭდილებებითა ხართ ამომავალი მზის ქვეყანაზე: პასუხობს მშენებარე სანჰიგიენის ქაღალდის საწარმოს დირექტორი რადიონ ოყუჯავა.

—ფაბრიკაში ოთხმოცი კაცია დასაქმებული, დანადგარები მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ. მიმდინარე რემონტი უტარდება თვეში ერთხელ. მუშები დიდ პატივს მიაგებენ არჩეულ პროფესიას. გამორიცხულია საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. უკიდურეს შემთხვევაში, როცა მუშის მიზეზით მწყობრიდან გამოდის ეს თუ ის მანქანა, მუშა ისჯება და თავისუფლდება სამუშაოდან.

საამქროს უფროსებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ცალ-ცალკე კაბინეტები არა აქვთ. ყველანი ერთიანი რიტმით საქმიანობენ. მათი ხასიათის შტრიხია ურთიერთპატივისცემა, თანადგომა, თავაზიანი მოპყრობა ყოველგვარი ხმაურის გარეშე.

იაპონელები საოცრად პუნქტუალური და პრაქტიკული ხალხია. აქ სოფელსა და ქალაქს შორის ზღვარი წაშლილია, ორივეგან ყველაფრის სიუხვეა. ქვეყანა ეკონომიურად ძლიერია.

მომხიბლავია ტოკიო ღამით... იაპონელებმა შრომაც იციან და დასვენებაც.

ესაუბრა კლარა ფაჩუაშვილი.

რედაქტორის მოადგილე ჯ. ცხონდია.

**საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი** აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე მეორე კურსი (სწავლების ვადა 2 წელი). 1. **სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა.** 2. **სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლოატაცია და რემონტი.** 3. **საბუღალტრო აღრიცხვა, სამეურნეო საქმიანობის კონტროლი და ანალიზი.** 4. **დაკონსერვების (ბემოკვების) ტექნოლოგია.** 5. **ჩაის პროდუქტთა ტექნოლოგია.** 6. **ხისა და ხის მასალების ქიმიურ-მექანიკური დამუშავება (ქაღალდის ტექნოლოგია).**

**ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს:**

1. ტექნიკოს-მშენებლებს სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობებისათვის. 2. ტექნიკოს-მექანიკოსებს სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლოატაციისა და რემონტის გახრით. 3. ბუღალტერ-ეკონომისტებს ვაჭრობის, ტრანსპორტის და მრეწველობის დარგებისათვის. 4. ტექნიკოს-ტექნოლოგებს ჩაის ფაბრიკებისა და საკონსერვო ქარხნებისათვის. 5. ტექნიკოს-ტექნოლოგებს ცელულოზისა და ქაღალდის წარმოებისათვის.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება. დაუსწრებელ განყოფილებაზე ასაკი განუსაზღვრელია.

ტექნიკუმში შემსვლელებმა სპეც ბლანკზე შევსებული განცხადება უნდა შემოიტანონ მიმღებ კომისიაში შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი). 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა №086 უ). 3. ოთხი ფოტოსურათი ზომით 2X3. 4. სტაჟის მქონე პირებმა ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. შემომსვლელები პასპორტს წარმოადგენენ პირადად.

განცხადებების მიღება იწარმოებს 15 ივნისიდან ივლისის ბოლომდე. მისაღები გამოცდები მოეწყობა პირველი აგვისტოდან. ტექნოლოგიურ დარგებზე შემსვლელები აბარებენ გამოცდას სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერა (თხზულება).** 2. **ქიმია-ზეპირი. სამშენებლო, საბუღალტრო და სხვა სპეციალობებზე შემსვლელები აბარებენ გამოცდას ქიმია ზეპირის ნაცვლად მათემატიკა ზეპირში.**

შენიშვნა:

1. 31 ივლისს (ოთხშაბათი) ტექნიკუმში დღის 11 საათზე მოეწყობა „ღია კარების დღე", სადაც სტუმრები გაეცნობიან მასალებს ტექნიკუმის დაარსების ისტორიიდან. დაათვალიერებენ კაბინეტ-ლაბორატორიებს, გაეცნობიან მისაღები გამოცდების ცხრილს და მიიღებენ ცნობებს მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე. 2. დაუსწრებელი განყოფილების საბუღალტრო-ეკონომიურ სპეციალობაზე შემსვლელებისათვის სავალდებულოა მუშაობა პროფილის მიხედვით. 3. ტექნიკუმში ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით თვეში 100-დან 125 მანეთამდე აკადემიური მოსწრების მიხედვით. 4. ტექნიკუმში ჩარიცხულ სამხედრო ვალდებულებს გვარდიაში გაწვევა გადაუვადდებათ ტექნიკუმის დამთავრებამდე.

ტექნიკუმის მისამართი: **ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. 2 ა. ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი.** ტელეფონი 2-21-11, 2-37-46, 2-37-52.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კვირისა და შაბათის გარდა ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე.

**მიმღები კომისია.**

---

## გიწვევთ სასწავლებლად!

**ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის მე-7, მე-8, მე-9 კლასებში (მე-7 კლასში მიღება ხორციელდება წლეულს პირველად).

სკოლა-ინტერნატში ჩაირიცხებიან მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-6, მე-7 ან მე-8 კლასი და გამოიჩინეს განსაკუთრებული მიდრეკილება ფიზიკისა და მათემატიკის მეცნიერების შესწავლისადმი.

სკოლა-ინტერნატში ჩასარიცხ მოსწავლეთა შერჩევა წარმოებს ფიზიკასა და მათემატიკაში, გასაუბრების საფუძველზე (მე-7 კლასებისათვის გასაუბრება ჩატარდება მხოლოდ მათემატიკაში).

მიმდინარე წელს გასაუბრება ჩატარდება მათემატიკაში 26 ივნისს, ფიზიკაში 28 ივნისს.

რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ოთხჯერადი კვებით, ბინით და ტანსაცმლით.

სკოლა-ინტერნატს აქვს მუშაობის დიდი გამოცდილება. კურსდამთავრებულთა [illegible] უმრავლესობა (90-95 პროცენტით) იმავე წელს ხდება უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. მათი გარკვეული ნაწილი წარმატებით ეწევა მეცნიერულ მუშაობას. არც თუ ისე დიდი ისტორიის (პირველი გამოშვება მოხდა 1977 წელს) მიუხედავად რამდენიმე ათეულ კურსდამთავრებულს აქვს მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი.

მსურველებს შეუძლიათ განცხადება შემოიტანონ სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში 25 ივნისამდე, ყოველდღე გარდა კვირის 9 საათიდან 16 საათამდე.

განცხადებას თან უნდა ერთოდეს: ცნობა, რომელ კლასში სწავლობს, ყოფაქცევის და წარმატების მოწმობა, ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №26 და №191), ფოტოსურათი (ზომა 3X4-ზე).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში.

ჩვენი მისამართია: **ქუთაისი, ლესელიძის ქ. №3,** ტელ. 5-41-54.

**სკოლა-ინტერნატის დირექცია.**

---

ზუგდიდის კოოპერატივი „პალიტრა" წარმოადგენს მცირე კერამიკულ საამქროს, სადაც მზადდება შავი კერამიკული სერვიზები და მხატვრული ნაკეთობანი. კოოპერატივის მიერ დამზადებულ ნაკეთობათა ნიმუშები გაგზავნილია საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში, საიდანაც კოოპერატივი ელის ვალუტაზე შეკვეთების მიღებას. ამისათვის საჭიროა კვალიფიციური მუშები. კოოპერატივი „პალიტრა" სამუშაოდ იწვევს ახალგაზრდა მხატვარ-შემსრულებლებს, რომელთაც დამთავრებული ექნებათ მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი ან მცხეთის კერამიკული სკოლა. სამუშაოზე მიღებული მუშები გაივლიან ერთთვიან სასწავლო კურსს. თვიური ხელფასი დამოკიდებულია გამომუშავებაზე.

**ჩვენი მისამართია:** ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. №21. (ყოფილი საგრენაჟო ქარხნის უკან).

**ზუგდიდის მხატვრულ-დეკორატიულ-კერამიკული კოოპერატივი „პალიტრა".**

---

მინდა საჯაროდ ვუთხრა მადლობა რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმ-პედიატრს **სოსო ფიფიას,** მედდებს: **ქეთინო ჯომიდავას, ია არქანიას** და **სვეტა ბჟინავას** შვილიშვილის ქრისტინეს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის გაწეული კვალიფიციური დახმარებისა და უძილო ღამეებისათვის.

გისურვებთ წარმატებებს, სიმხნევეს პატარების სამსახურში.

**ნინა ანთია.**

---

დედა მეგი, მამა მერაბი, და ლანა, ბებიები: როზა, ლაურა, ბაბუები: ზაურ გუნჯუა, მამულ სტურუა, დეიდები ფისო, თამუნა, მარიკა, გულიზა, მარიზა სტურუები, ბიძები: ჯონი, ზვიადი გუნჯუები, ბადრი სტურუა, გონელი კვირტია, ვალერი ზანთარაძე, პეტრო წითაშვილი, იური დიასამიძე, ტუჩია ხაზალია, მამიდები: მანანა, ანელა, ბიძაშვილი ხატია, მამიდაშვილები: ჯანო, თამუნა კვირტიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ანა მერაბის ასულ გუნჯუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს სოფ. ორსანტიაში.

---

ოქტომბრის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**ზვიად გურიელის ძე ხუფაცარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: რეზო, რამინი, ვისი, ჯუმბერი, შვილიშვილები: ინგა, ირმა, დათო, სოსო, სესილი, ჯაბა ფიფიები, მარიკა, თემურ გვილავები, რძლები: მარო ნაჭყებია, მარგო შამუგია, ვარდო ჭურღულია, ნელი ბაგათელია, იზო ესართია, დები: ტატი, ანტისა, სიძეები: ვანო აქუბარდია, ვაჟა გვილავა, სლავა ბებია, ძმისშვილები, დისშვილები, მულიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ფენია დავითის ასულ არდია-ფიფიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 ივნისს, გამოსვენება 15 ივნისს ზუგდიდი -2. მეჭადლეთა ქ. 34.

---

მეუღლე ციცო მინჯორაია, შვილები: დათო, გიორგი, დები: ბაბუცა, ეთერი, ლეილა, დიანა, ძმა კაკო, სიდედრი ნინა ბარაბაძე, რძლები: ვერიკო, ქეთინო, სიძეები კოტე კაკულია, ნალიკო მალიშავა, რეზო ჯალაღონია, რუდიკ შელეგია, დეიდა შუშუ, ცოლისძმა ოთარი, ცოლისდა ნუნუ, ქვისლი ბაბუში შენგელაია, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ სამსონის ძე ბელქანია.**

პანაშვიდი 13, 14 ივნისს. დაკრძალვა 15 ივნისს. გამოსვენება 17 საათზე, ზუგდიდი, ლესელიძის 39.

---

შვილები: კარლო, ჯემალი ქობალიები, რძლები: გუგული ჭუჭავა, ცისანა კანკავა, შვილიშვილები ლელა, რუსიკო, ირმა, პაატა, პაპუნა, ძმისშვილები: გული, ვალია, ლონდა, მიტუშა, იურა, რეზო, მურმანი ხაბურზანიები, მულისშვილები: ქვათა, თამელა, ლიალი ჯიშკარიანები, ეთერი, ნუნუ, ასმათი, ფატი კვირკველიები, ელისო ჯიქია ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ქსენია (ჯოჯო) ჩაგუს ასულ ხაბურზანია-ქობალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 ივნისს. დაკრძალვა 15 ივნისს სოფ. დარჩელში.

---

კახათის №1 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის ყოფილი მასწავლებლის

**ნატაშა სისოს ასულ თოლორაიას**

გარდაცვალებას.

---

შვილი მერაბი, რძალი ნინო შამუგია, შვილიშვილი ხატია ჭითანავა, და ბუცა, სიძე რევენტი, დისშვილები ციური, მზია, ზურაბი შამათავები, მაზლები იროდი, ვარლამ ჭითანავები, რძლები ფენია, მალინა, მულები თამარ აბსავა, ნორა კვარაცხელია, მაზლიშვილები, მულიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვენერა (ქუქა) ხუნთუს ასულ ჩერგეზია-ჭითანავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 ივნისს. დაკრძალვა 16 ივნისს ცაიში, გამოსვენება თბილისის ქ. 2-დან.

---

შვილები: ნუცა, ციალა, ნანული, გიგლა, რძლები: ოლგა ძაძამია, ლიდია კიკალიშვილი, ვენერა კაპანაძე, ნათელა ჭითანავა, დობული კაკალია, სიძეები: კოლია კვარაცხელია, გენადი ანთია, ჯანიკო კუხალეიშვილი, შვილიშვილები: მარინა, ციალა, თინიკო, ნუგზარი, გოგი, კობა, მამუკა, თამუნა ხარებავები, გონერი გიმზერი, სერიოჟა, როლანდი, მზევინარი, მზია კვარაცხელიები, მედიკო, მერი, თენგიზი ანთიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ლენა შარვანის ასულ კიკალიშვილი-ხარებავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 ივნისს. დაკრძალვა 15 ივნისს ს. ჩხორიაში.

---

და ნუცა კუკავა, დისშვილები: ნანი, გია ხასიები, სიძე ნიკო კანკია ოჯახებით იუწყებიან

**შაქრო პლატონის ძე კუკავას**

გარდაცვალებას.

---

ორსანტიის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობს ანტისა კიკავას ძმის

**დაფენტი დუშას ძე კიკავას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ანგელინა ჩალიგავა, სიძე ლომერ ლაგვილავა, შვილიშვილები ლანა, ანზორი, მზახალი ლალა გაბელია იუწყებიან

**ლოლა ტრიფონის ასულ სიჭინავა-ჩალიგავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 ივნისს სოფ. ხაბუმეში (ჩხოროწყუს რაიონი).

---

შვილები: ფევნაზი, თამაზი, მურმან შედანიები, შვილიშვილები ორესტი, თამარ, გიორგი თოდუები, დები: მარგო სართანია, ოლია, ვალენტინა, ნათელა ქობალიები, ძმა ლულუნი, რძლები: ჟენია შედანია, ფაცია სართანია, თალიკო ჭურღულია, მაზლი შალვა მირცხულავა, მულები: მარო, მარგო, შუშანა, ფაციკო შედანიები, სიძეები: ვახტანგ თოდუა, ორესტი ფარცვანია, ზაურ ჯალაღონია, ძმისშვილები: მანანა, ვახტანგი, გურამი, ნაზიბროლა, ქეთო, მაია, ბადრი, ჯანიკო, დისშვილები: ბონდო, როლანდი, ზაური, ნაირა, ნარგიზა, ნაზო, მზახლები: დოდო, ორესტი თოდუები, მაზლიშვილები, მულიშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**შურა აბრამის ასულ ქობალია-შედანიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ივნისს სოფ. ანაკლიაში.

---

ძმა ხუტა, რძლები: ვარდო, დანინო, ძმისშვილები: მზია, ელგუჯა, გოგი კუკავები, სიძე ზურაბი ფიფია იუწყებიან

**შაქრო პლატონის ძე კუკავას**

გარდაცვალებას.

---

ოქტომბრის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**ფატი მშვილდაძე-წოწერიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ბურდა, შვილი ბიჭიკო, რძალი ციალა, შვილიშვილები: ნინო, თამაზ ხოჭოლავები, დები: ვალია, ლენა; ძმები: ლევთერი, კლიმენტი ლომიები, სიძეები: ილუშა ხვითარია, აბესალომ ცეცხლაძე ოჯახებით, მული ლენა ნორაკიძე, რძალი კლარა ფიფია, მამიდაშვილი ზოია ლუკავა ოჯახებით იუწყებიან

**ლიანა ერმინეს ასულ ლომია-ხოჭოლავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 ივნისს 4 საათზე. დაკრძალვა 16 ივნისს 5 საათზე, გამოსვენება წულუკიძის ქ. 43.

---

შვილი ლენა, შვილიშვილები: დალი, გია, რძალი ფატიმა იზორია, შვილიშვილისშვილები: ქრისტინე, თენგიზი, ძმისშვილები: აულოკი, კოკი, ტიტიკო, გული, ნონა კოდუები, სიძე ჰამლეტ ხუბულაია, რძლები ზაირა ნაჭყებია, ნონა ფირცხალავა, ნინო თარცვანია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**დომნიკა ერასტოს ასულ კოდუა-ბებურიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 ივნისს, დაკრძალვა 18 ივნისს 17 საათზე ზუგდიდში, გამოსვენება 26 კომისრების ქუჩა 4-დან.

---

მეღორეობის საწარმოოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ კარლო ქობალიას დედის

**ქსენია ჩაგუს ასულ ხაბურზანია-ქობალიას**

გარდაცვალების გამო.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-09.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 8000 შეკ. №2418